საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია
წმინდა სინოდი

ოქმი № 3469

საშობაო ეპისტოლე

2025

„„ღმერთი ხარ მშვიდობისა და
მამა მოწყალე და დიდისა ზრახვისა ანგელოზი,
საკვირველი თანა-მზრახველი მომივლენენ ჩუენ“

(ქრისტეს შობის კატავასია, გალობა 5)

უფლის მიერ საყვარელნო მამანო და ძმანო,

ჩვენ დაუმორჩილებლობით განვეშორეთ ღმერთს, დავეცით და წინააღმდგომ ღმრთისა შევიქენით. ყოვლადწმინდა სამებამ, ღმერთმა, „რამეთუ მდიდარ არს წყალობითა"(ეფეს.2:4), მრავლითა კაცთმოყვარეებითა და ფრიადითა სახიერებითა თვისითა, ოდეს მოიწია ჟამი, დასდო დასაბამი გამოხსნისა. ძე და სიტყვაჲ ღმრთისა განკაცდა, ყოვლადწმინდა ქალწულისა ღვთისმშობელისგან ივასხნა ხორცნი, რომელიც თავის გვამოვნებაში ჰიპოსტასურად შეაერთა ღვთაებრივ ბუნებასთან. და ესე იქმნა, რათა ჯვრისა და აღდგომისა მიერ დაგვიბრუნოს ის კურთხეული მშვიდობა, რომელიც ადრე უარვყავით. „ღმერთმან მშჳდობისამან“(რომ.15:33; 16:20; ებრ.13:20), რომელი „ყოფს მშჳდობასა"(ეფეს.2:15), მოავლინა „დიდისა ზრახვისა ანგელოზი“(ეს.9:6), ჩვენი უფალი იესო ქრისტე, ღმერთი და კაცი,

რომელმანცა მოგვცა ჩვენ მსახურება „დაგებისაჲ“ (რომ.5:11; 2კორ. 5:18-19) - შერიგება ღმერთთან. მხოლოდ იგი არს მთავარი მშვიდობისა, „საღმრთო და ჭეშმარიტი“, ქრისტე მაცხოვარი, იგი ფლობს მშვიდობას(საცისკრო გერი 6) და გვანიჭებს მას, როგორც ღვთაებრივ თვისებას და არა როგორც ადამიანურ მიღწევას.

* * *

საყვარელო ძმებო,

ღმერთმა წმინდა წინასწარმეტყველ ეზეკიელის პირით ძისა და სიტყვის განკაცებამდე ექვსი საუკუნით ადრე იწინასწარმეტყველა, რომ წარმოგზავნიდა მწყემსს, ხორციელად დავითის შთამომავალს - ნამცნებ მესიას; დასდებდა მასთან „აღთქმასა მშვიდობისასა“(ეზეკ. 34:25), ახალ აღთქმას, რათა სულიწმინდის მადლის მეოხებით კურთხევის უხვი და კეთილმოქმედი წვიმა გარდამოდინებულიყო მის ხალხსა და ეკლესიაზე. და მაშინ, - საზეიმოდ აგრძელებს წმინდა წინასწარმეტყველი, - ეშმაკის ტირანიის უღელი შეიმუსრება და მორწმუნეები უსაფრთხოდ და შიშის გარეშე იცხოვრებენ „სასოებითა მშჳდობისაჲთა“. მაშინ, აღუდგინდება მათ „ნერგი მშვიდობისა“- მშვიდობის მთავარი, ღმერთკაცი ქრისტე - რომელიც განდევნის ყოველგვარ სულიერ სიყმილს, მტრობასა და დაპირისპირებას. ღვთაებრივი რწმუნება სავსეა გულმხურვალებით: „ცხოვარნი ჩემნი და ცხოვარნი სამწყსოჲსა ჩემისანი ხართ თქუენ და მე უფალი ღმერთი თქუენი,- იტყვის უფალი"(ეზეკ. 34:31). თანახმად, ისინი, ვინც ღვთაებრივ აღთქმას შეურაცხყოფენ, აშკარად უკეთურნი ხდებიან, მშვიდობას ვერ ჰპოვებენ და მისით ტკბობას ვერ იგემებენ. ჭეშმარიტი ღმერთისგან განდგომას მოაქვს მწუხარება, შფოთი, არეულობა და განწირულება; ხოლო უფლის მცნებებთან თანხმობას - უსაზღვრო და დაუსრულებელ სიმშვიდე. ადამიანები ღმერთთან მშვიდობას ყოფენ სინანულისა და მისი ღვთაებრივი მცნებების დაცვით; შინაგან სიმშვიდეში სუფევენ, რადგან შფოთისა და არეულობის ჟამს აღსარებით განიწმინდებიან, და ასევე წმინდა ზიარებით განათლდებიან; მშვიდობას ამყარებენ სხვებთანაც, როგორც ღვთის ჭეშმარიტი შვილები და კურთხეულნი ცხოვარნი სამწყსოჲსა მისისანი.

* * *

საყვარელო მამებო და ძმებო,

მართლმადიდებლური მართლმადიდებლური წმინდა შობა მშვიდობის ერთადერთი ჭეშმარიტი დღესასწაულია მსოფლიოში. შეიძლება დედამიწაზე ომის უამრავი კერა ენთოს და დღითიდღე ახლებიც წარმოიქმნას; შეიძლება მძვინვარებდეს აბსურდულობა, უთანხმოება, მტრობა, გამყიდველობა, უსამართლობა და სიძულვილი. მაგრამ არსებობს ჭეშმარიტი მშვიდობა და ის მხოლოდ იქ არსებობს, სადაც ქრისტე მეფობს, მის წმინდა ეკლესიაში და ქრისტეს ჭეშმარიტი თაყვანისმცემლების - მართლმადიდებელ ქრისტიანთა გულებში. იქ, სადაც ქრისტე არ არის და ქრისტე არ მეფობს, სადაც ის შეურაცხყოფილი და დევნილია, იქ ნამდვილი და ჭეშმარიტი მშვიდობა ვერ იარსებებს. ადამიანურ შეთანხმებებსა

და მოლაპარაკებებს, რომლებიც შეუწყნარებელ ინტერესებსა და მისწრაფებებს ემსახურებიან, მშვიდობა არ მოაქვს. ეკუმენისტური და ჰუმანისტური მოწოდებებიც კი მშვიდობისაკენ არ არის კურთხეული, ცრუა და უქმად მეტყველებას და ამაო ძალისხმევას წარმოადგენს. იქ, სადაც ჩვენი მაცხოვარი წმინდად იგალობება და მართლად იდიდება, სადაც მისი წმინდა აღთქმა და მაცხოვნებელი მცნებები არის დაცული და საქმითაა აღსრულებული, ახლად იბადება ქრისტე - საიდუმლოდ, ლიტურგიულად და სულიერად და თავის საოცარ მშვიდობას ამყარებს. მშვიდობას, რომელიც ვნებებს სძლევს და სულებს ამშვიდებს, რომლის მეშვეობითაც ღმერთი ჩვენი მამა ხდება, ადამიანები კი - ჩვენი საყვარელი ძმები.

ამინ!

ქრისტე იშვა!

შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2025

† კალინიკე მთავარეპისკოპოსი ათენისა
საბერძნეთის ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანთა
წმინდა სინოდი